საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თამარ ონიანი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიორგი შავლიაშვილი?	
(დიახ)	არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თამარ ონიანი

2021 წლის 17 ივნისი, თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გიორგი შავლიაშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო გიორგი შავლიაშვილმა.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით 2021 წლის 27 მაისს შევაფასე პროცედურაში მონაწილე 33 კანდიდატი, მათ შორის, გიორგი შავლიაშვილი და მივიჩნიე, რომ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 91 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

2021 წლის 17 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებული 9 კანდიდატის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით გიორგი შავლიაშვილი არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საბჭოს სხვა წევრებმაც. შედეგად, მივიჩნევ, რომ

გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება - წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

თამარ ონიანი